პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1980 წელი ოთხშაბათი 16 იანვარი № 12 (17657) ☐ ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქმეთა გამოაჩინა

გაზეთზეულს — გამართული ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტების კოლაბანს — სხვადასხვა საწარმოო გაერთიანების სპეციალიზებულ სახელოსნოში ტ-54 მარკის ტრაქტორებს „კაპიტალურად არემონტებენ.

მოწინავეთა შორის არის ამწყობი ზეინკალი, საპატიო ნიშნის ორდენოსანი ზაურ მაზანიშვილი. მან 1971 წელს დაამთავრა თბილისის მე-6 პროფტექნიკური სასწავლებელი (შემკეთებლის სპეციალობით). სამხედრო სამსახურის შემდეგ მშობლიურ რაიონში დაბრუნდა და აქ დაიწყო მუშაობა.



ზ. ბენეშვილის ფოტო.

სურათებზე: საპატიო ნიშნის ორდენოსანი ამწყობი ზეინკალი ზაურ მაზანიშვილი; გაერთიანების სპეციალიზებულ სახელოსნოში.

ინფორმაცია—1980

ჩვენს ქვეყანაში

გვეტყობინებენ საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების კორესპონდენტები

სომხეთი

ქალაქმშენებლობის ნაკრძალი

სომხეთის მეორე სამრეწველო ცენტრში — ლენინაკანში შეიქმნა სახელმწიფო ქალაქმშენებლობის ნაკრძალი — „კუმაირი". იგი მოიცავს ქალაქის ისტორიული ნაწილის ტერიტორიას და შეიცავს უძველეს დროთა და ჩვენი დღეების დაახლოებით 1500 ყველაზე ძვირფას არქიტექტურულ ნაგებობას.

ასკალი ელექტროძრავები

ერევნის ელექტროტექნიკურ ქარხანაში აწარმოებენ გაუმჯობესებული ტექნიკური პარამეტრების მქონე ახალი სერიის ელექტროძრავებს. ელექტროძრავების სიმძლავრე ას კილოვატს აღწევს, ისინი საიმედოა ექსპლუატაციის დროს. ამ პროდუქციას უშვებენ ხარისხის უმაღლესი კატეგორიით.

ელექტრული მანქანები იგზავნება მსოფლიოს 30 ქვეყანაში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ყველა ეკონომიკურ რაიონში.

მხატვრის იუბილე

რესპუბლიკაში შექმნილია საბჭოთა ფერწერის გამოჩენილი მოსტატის მარტიროს სარიანის დაბადების მეასე წლისთავის იუბილეს მომზყობი კომისია. იუბილეს ბიუროს თავმჯდომარეა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ს. დემირჩიანი.

ერევანში გაიმართება იუბილესდმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მოსკოველი, ლენინგრადელი, თბილისელი, ბაქოელი, ტაშკენტელი და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ტურმერები. გაიხსნება მარტიროს სარიანის ნამუშევრების გამოფენა.

მოსკოვში გაიმართება მხატვრის იუბილისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

მოკლედ

● **მიხაილოვკა** (ვოლგოგრადის ოლქი). ახალი პროდუქციის გამოშვების ვადამდე ათვისებაში ვოლგოგრადის ოლქის სერებრიაკოვკის ციმენტის ქარხნის კოლექტივს დაეხმარება ავტომატიზებული სისტემა „ციმენტი". იგი უძღვება ოთხივე მძლავრი წისქვილის მართვას წარმოების მეორე რიგში. ინვენტარი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის პროგრამები, რომლებიც მეთვალყურეობას გაუწევს მეორე რიგის მბრუნავი ღუმელების მუშაობას.

● **ალმა-ათა.** ყამირის გმირების კოლექტიურ ავტოპორტრეტად იქცა კრებული „შთაგონება", რომელშიც შევიდა კოჩეტავის ლიტერატურული გაერთიანების „ყამირის რიტმის" წევრების — მექანიზატორებისა და მასწავლებლების, აგრონომებისა და ექიმების — საუკეთესო ნაწარმოებები. ახალმა წიგნმა, რომელიც ალმა-ათაში გამოიცა, შეიჯამა ყაზახეთის მწერალთა ორგანიზაციის შეჯობა ყამირის მშრომელებისადმი.

● **კიშინიოვი.** კოლმეურნე გიორგი ბოლფას ოჯახისა და მოლდავეთის სოფელ კოპანკის კიდევ ოცი მკვიდრის ცხოვრება არნახულად შეიცვალა ამ ორმოცეული წლის მანძილზე.

ბოლფას ოჯახის წევრები ხომ, ისევე როგორც ბევრი სხვა მოლდაველი, საბჭოთა პერიოდამდე მოჯამაგირეები იყვნენ. დღევანდელ კოპანკაში არაფერი არ მოგაგონებთ აქ გამეფებულ ადრინდელ სიღატაკეს. შეიქმნა კოლმეურნეობა, რომელიც დასპეციალებულია ხილის, ბოსტნეულის, მარცვლეულის მოყვანაზე. ყოველწლიურად იგი იღებს ვაზდ მილიონ მანეთ შემოსავალს. მეურნეობას ხელმძღვანელობს ყოფილი მოჯამაგირე, ამჟამად სოციალისტური შრომის გმირი გიორგი ბოლფა. ბედნიერად ცხოვრობს მთელი მისი ოჯახიც, რომლის წევრები დღეს სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მასწავლებლები, იურისტები არიან.

● **ნოვგოროდი.** პირველი რუსული პროვინციული სტამბის დაარსების დროის დადგენა შეიძლება იმ დოკუმენტებით, რომლებიც ნოვგოროდის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებმა იპოვეს. ინვენტარში აღმოაჩინეს. ნაპოვნი მასალები მოწმობს, რომ სტამბა აქ 1655 წელს დაარსეს ბერებმა, რომლებიც ვალდაიში გადმოსახლდნენ ბელორუსიის დაბა კოტეინიდან. ეკლესიურ-ეკლესიურ-ეროვნული ... ...

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონები

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შექმნა

თავი I. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შექმნისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები

მუხლი 1. სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო, როგორც რაიონის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, წყვეტს რაიონული მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფო ინტერესებიდან და საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე, ახორციელებს ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობს ქვემდგომი სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობას, მონაწილეობს საოლქო, რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხების განხილვაში, შეაქვს მათ გამო წინადადებანი.

მუხლი 2. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორწლინახევრის ვადით ირჩევენ რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული ქვისაყრით.

რაიონული საბჭოს არჩევნების ჩატარების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონები, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკების კანონები.

მუხლი 3. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო თავის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას; ამტკიცებს რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს, ბიუჯეტს და მათი შესრულების ანგარიშებს; ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებულ სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს; უზრუნველყოფს კანონების შესრულებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვას; ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო განიხილავს ამმრჩეველთა კრებების მიერ მოწონებულ განაწესებს, ამტკიცებს განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმას, ითვალისწინებს მათ რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს, ორგანიზაციას უწევს განაწესების შესრულებას და ინფორმაციას აწვდის მოქალაქეებს მათი რეალიზაციის შესახებ.

ამმრჩეველთა განაწესის შეტანის, განხილვის, აღრიცხვისა და შესრულების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონები, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკების კანონები.

მუხლი 4. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავის ტერიტორიაზე, კონტროლს უწევს ამ ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული გაერთიანებების მუშაობას, ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ კანონმდებლობის დაცვას, კოორდინაციას და კონტროლს უწევს მათ საქმიანობას მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების დარგში.

რაიონული საბჭო ამ მუხლში აღნიშნულ საკითხებზე ისმენს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, იღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს წინადადებები შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მუხლი 5. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს საქმიანობას უზრუნველყოფს კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავის ტერიტორიაზე, კონტროლს უწევს ამ ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული გაერთიანებების მუშაობას, ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ კანონმდებლობის დაცვას, კოორდინაციას და კონტროლს უწევს მათ საქმიანობას მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების დარგში.

რაიონული საბჭო ამ მუხლში აღნიშნულ საკითხებზე ისმენს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, იღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს წინადადებები შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მუხლი 6. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, ამ კანონით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებითა და სხვა აქტებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, ზემდგომი სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით.

მუხლი 7. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს მისთვის სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს მათ შესრულებას, კონტროლს უწევს გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისათვის, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

რაიონულ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა არ შეასრულეს მათი გადაწყვეტილებები, შესაბამის ზემდგომ ორგანოებში შეაქვთ წარდგინებანი ამ ხელმძღვანელებზე დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებამდეც კი. წარდგინებათა განხილვის შედეგები რაიონულ საბჭოს ან მის აღმასრულებელ კომიტეტს უნდა ეცნობოს არა უგვიანეს ერთი თვის განვლისა.

მუხლი 8. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო, ხელმძღვანელობს რა სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოების საქმიანობას, უფლებამოსილია გაუქმოს ამ საბჭოების აქტები იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტები არ შეესაბამება კანონმდებლობას.

მუხლი 9. რაიონების შექმნა, გაუქმება, საზღვრების შეცვლა, სახელის დარქმევა და გადარქმევა, აგრეთვე მათი ადმინისტრაციული ცენტრების დადგენა და გადატანა ხდება საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტერიტორიის სამეურნეო-ეკონომიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებებიდან, მოსახლეობის რაოდენობიდან და მისი მომსახურების ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისი სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აზრის გათვალისწინებით.

მუხლი 10. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროის შესახებ დებულების შესაბამისად შინოგაზე, სადაც მიმდინარეობს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა აომართული უნდა იყოს მთელი სესიის მანძილზე, ხოლო რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაზე — მუდმივად. აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში ამ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო დროშების აღმართვა ხდება იმ წესით, რომელიც შესაბამისად დადგენილია აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო და აჭარის ასსრ სახელმწიფო დროშების შესახებ დებულებებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის აღმართვა სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაზე ხდება იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებით.

მუხლი 11. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის გერბიანი ბეჭედი, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — შესაბამისად აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშისა.

თავი II. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს უფლებები და მოვალეობები

მუხლი 12. დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო:

1) ამტკიცებს რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმებს, ორგანიზაციას და კონტროლს უწევს მათს შესრულებას; ამტკიცებს რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შესრულების ანგარიშებს; რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შემუშავების დროს ითვალისწინებს ამმრჩეველთა განაწესებს, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა კოლექტივების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებებს; განიხილავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საწარმოო-საფინანსო გეგმებს; ამტკიცებს რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიმდინარე და პერსპექტიული საგეგმო დავალებებს, აგრეთვე აღნიშნულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გაწლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს;

2) განიხილავს ზემდგომი დაქვემდებარების სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმღები საწარმოებისა და პუნქტების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოების, აგროლობრივი მრეწველობის საწარმოების კომუნალური მეურნეობის საწარმოებისა და ნაგებობების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვეტერინარიისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, კოლტორის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში;

3) განიხილავს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გეგმების პროექტებს იმ ნაწილში, რომელიც ეხება მიწათსარგებლობას, ბუნების დაცვას, მშენებლობას, სანინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარებას, შრომითი რესურსების გამოყენებას, სახალხო მოხმარების საქონლის და აღგილობრივი საშენი მასალების წარმოებას, მოსახლეობის სოციალურ-კულტურ უ ლ, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურებას, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში, ამტკიცებს ამ საკითხებზე კრებსით საგეგმო მაჩვენებლებს, ამასთან შეაქვს ისინი რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმაში;

4) უზრუნველყოფს შრომითი რესურსების, აღგილობრივი საშენი მასალებისა და სათბობის გამოყენების ბალანსების, მიწის ბალანსის, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსისა და სხვა ბალანსების შედგენას, რომელიც საჭიროა რაიონის ტერიტორიაზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების დასაგეგმავად;

5) კონტროლს უწევს მინერალური და ნედლეული, ტყის, წყლის, ენერგეტიკული და სხვა რესურსების რაციონალურ გამოყენებას;

6) აცნობს სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე რაიონული დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დაწესებულ საგეგმო მაჩვენებლებს;

7) კონტროლს უწევს აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობას რაიონული დაქვემდებარების საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში.

8) იხმარება სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს; უზრუნველყოფს საანგარიშგებო მონაცემების შედგენისა და წარდგენის წესის შესახებ კანონმდებლობის დაცვას.

მუხლი 13. საბიუჯეტო-საფინანსო მუშაობის დარგში სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო:

1) ამტკიცებს რაიონის ბიუჯეტს შემოსავლის საერთო თანხით, გამოყოფს რა ძირითად საშემოსავლო წყაროებს, და გასავლის საერთო თანხით, გამოყოფს რა ასიგნებებს რაიონის მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, რაიონის სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად; ბიუჯეტის შედგენის დროს ითვალისწინებს ამმრჩეველთა განაწესებს;

2) ამტკიცებს რაიონის ბიუჯეტს, მისი შემოსავლისა და გასავლის კვარტალურ განაწილებას, საკასო საბრუნავი სახსრების რაოდენობას რაიონის ბიუჯეტის მიხედვით;

3) გამოჯავრებს რაიონის ბიუჯეტის შემოსავალსა და გასავალს ტრანსფერტებისათვის მათი გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმებს, კონტროლს უწევს იმას, თუ რამდენად სწორად იყენებენ კრედიტებს; ანაწილებს საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოებს შორის სსრ კავშირის სახსრების ფულადი სესხის ლიმიტებს ინდივიდუალური სანინაო მშენებლობისა და იმ სახლების რემონტისათვის, რომლებსაც მოქალაქეები პირადი საკუთრების უფლებით ფლობენ.

15) წარმართავს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მუშაობას, განსაზღვრავს მათი ქსელის განვითარებას და განლაგებას;

16) წარმართავს სახელმწიფო დაზღვევის აგენტურა ორგანოების მუშაობას, ხელს უწყობს მათ ყველა სახეობის დაზღვევის განვითარებაში; კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო საავალდებულო დაზღვევისას ცალკეულ მოქალაქეებს ანიჭებს შეღავათებს;

17) კონტროლს უწევს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის სწორად ჩატარებას.

მუხლი 14. სოფლის მეურნეობის დარგში სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო:

1) ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას; კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვის საგეგმო დავალებებს; განიხილავს კოლმეურნეობათა წლიურ ანგარიშებს;

2) უზრუნველყოფს, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა დროულად შეასრულონ გეგმები და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი, განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ნათესებისა და ნარგავების დაცვა, მიწების მელიორაციის განვითარება და სოფლის მეურნეობისათვის ათვისება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება, წარმოების პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების ეფექტიანად გამოყენება;

3) იღებს ზომებს იმისათვის, რომ კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სრულყონ ეკონომიკური მუშაობა, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, დანერგონ შიდასამეურნეო ანგარიშწორება, დაიცვან კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა მატერიალური დაინტერესების პრინციპები; მონაწილეობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზაციის განსაზღვრაში;

4) კონტროლს უწევს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ავტოტრანსპორტის, მინერალური სასუქების, ზსამქმიკატების და ნავთობპროდუქტების სწორად გამოყენებასა და შენახვას;

5) ხელმძღვანელობს რაიონში ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელებას, კონტროლს უწევს პირუტყვის დაავადებათა თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების ჩატარებას; საჭიროების შემთხვევაში აწესებს კარანტინს;

6) აწყობს მოწონავე გამოცდილების და მეცნიერების მიღწევების პროპაგანდას და დანერგავს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში; ხელს უწყობს კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ სწავლებას;

7). ხელს უწყობს სახელშეკრულებო ურთიერთობის განმტკიცებას დამამზადებელ ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის, რომლებიც აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის გაყიდვას, გადამუშავებასა და გასაღებას;

8) კონტროლს უწევს, თუ როგორ ასრულებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები, დაწესებულებები ნაკისრ ვალდებულებებს ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე განვითარდეს სახალხო მოხმარების საქონლის და ადგილობრივი საშენი მასალების (დებულებების) ცვლილებებსა და დამატებებს;

14) ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებული სოფლის მეურნეობის სამეურნეობათშორისო საწარმოებს (ორგანიზაციებს) და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების სოფლის მეურნეობის სამეურნეობათშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) საქმიანობას; ეხმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დამხმარე საწარმოებისა და სარეწების, აგრეთვე სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების ფილიალების (საამქროების) შექმნასა და განვითარებაში.

მუხლი 15. მიწათსარგებლობის, წყლის, ტყის, წიაღისეულის გამოყენებისა და დაცვის, გარემოს დაცვის დარგში სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო:

1) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს რაიონის ტერიტორიაზე მთელი მიწების გამოყენებისადმი;

2) აძლევს და ჩამოართმევს მიწის ნაკვეთებს და წყვეტს საადგილმამულო დავას იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა; აძლევს დასაკვნებს ზემდგომი ორგანოების მიერ მიწის ნაკვეთების მიცემისა და ჩამორთმევის შესახებ;

3) აძლევს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მიწათმოსარგებლეებს მიწათსარგებლობის უფლების შესახებ სახელმწიფო აქტებს;

4) იღებს გადაწყვეტილებებს კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, საწარმოებისა, საწარმოებისა, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე მოქალაქეებისათვის დროებით სარგებლობაში მიწის ნაკვეთების მიცემის შესახებ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის საწარმოებლად, ტყეებისა, ბალახოვანი ფართობების, ბაგირ-ბოძებისა, ტელეფონ-ტელეგრაფის ხაზებისა, ნავსადგურებისა, ტბებისა, ბუნებრივი ტბებისა, ოაზისებისა, ბალნეოლოგიური, ბალნეოლოგიურ-ტალახეული, ტალახეული, ბალნეოლოგიური-ტალახეული, ბალნეოლოგიური-ოზოკერიტული, ოზოკერიტული, ოზოკერიტული-ტალახეული, ოზოკერიტული-ბალნეოლოგიური-ტალახეული, ოზოკერიტული-ბალნეოლოგიური, ბალნეოლოგიური-ოზოკერიტული-ტალახეული, ბალნეოლოგიური-ოზოკერიტული-ტალახეული, ბალნეოლოგიური-ოზოკერიტული-ტალახეული

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის **კანონი**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ

(გაგრძელება)

1) რაიონის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობს სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობას, აგრეთვე საზოგადოებრივ კვებას, რაიონული დაქვემდებარების სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

2) კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას;

3) ამტკიცებს რაიონული დაქვემდებარების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა საქონელბრუნვის საგეგმო დავალებებს; რაიონის სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის წარდგინებით სასოფლო და სადაბო საბჭოების მიხედვით ამტკიცებს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა საცალო საქონელბრუნვის გეგმებს;

4) კონტროლს უწევს სამომხმარებლო საზოგადოებათა წესდების და სამომხმარებლო კოოპერაციის საქმეების მართვის დემოკრატიული საფუძვლების დაცვას;

5) იღებს ზომებს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით საკომისიო საწყობები გაფართოვდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა;

6) იღებს ზომებს, რომ განვითარდეს საკოლმეურნეო ვაჭრობა, საკოლმეურნეო ბაზრების შენებლობა და კეთილმოწყობა; კანონმდებლობით განსაზღვრული წესისა და ფარგლების შესაბამისად ადგენს ერთჯერადი გამოსაღებების ოდენობასა და საკოლმეურნეო ბაზრებზე გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთებს;

7) კონტროლს უწევს, თუ როგორ მუშაობენ სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ბარეული ხილისა და კენჭრის შესყიდვის, შენახვის, გადამუშავებისა და გაყიდვისათვის;

8) კონტროლს უწევს ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვას, ზომა-წონის ხელსაწყოების მდგომარეობას, აგრეთვე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, ორგანიზაციებში, ბაზრებსა და ვაჭრობის სხვა ადგილებში სანიტარიული წესების დაცვას;

9) იღებს ზომებს საქონელბრუნვაში სამრეწველო და სასუნსთო საქონლის ადგილობრივი რესურსების ჩაბმისათვის, ახორციელებს ღონისძიებებს მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, ვაჭრობის ახალი ფორმების დანერგვისათვის.

მუხლი 21. საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო:

1) ხელმძღვანელობს სახალხო განათლების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის საქმეს; უზრუნველყოფს ახალგაზრდობის საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლებას; აორganizებს სასკოლო ასაკის ბავშვებს;

2) იღებს ზომებს წარმოებასთან სკოლის კავშირის განსამტკიცებლად, შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გასაუმჯობესებლად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფად;

3) კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას, საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხს და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მიერ გაწეული მომსახურების პრეისკურანტის სწორ გამოყენებას;

3) სახელმწიფო მმართველობის ზემდგომ ორგანოთან შეთანხმებით გამოაქვს გადაწყვეტილება საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ორგანიზაციის, ორganizაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე;

4) ორganიზაციას უწევს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ფორმებისა და სახეობების დანერგვას.

მუხლი 22. სახალხო განათლების დარგში სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო:

1) ხელმძღვანელობს სახალხო განათლების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის საქმეს; უზრუნველყოფს ახალგაზრდობის საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლებას; აორganizებს სასკოლო ასაკის ბავშვებს;

2) იღებს ზომებს წარმოებასთან სკოლის კავშირის განსამტკიცებლად, შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გასაუმჯობესებლად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფად;

3) კონტროლს უწევს კოლმეურნეობების, სახელთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორganიზაციების კულტფონდების სახსრების გამოყენებას და საჭიროების შემთხვევაში, მათთან შეთანხმებით იღებს ზომებს აღნიშნული სახსრების ცენტრალიზებულად გამოყენებისათვის;

4) ხელმძღვანელობს მოსახლეობის კინომომსახურებას, იღებს ზომებს კინოქსელის გაფართოებისათვის;

5) იღებს ზომებს ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვითმოქმედების განვითარებისათვის; ორganიზაციას უწევს კულტურის დარგის საერთო-საარაინო ღონისძიებებს;

6) ხელს უწყობს მეცნიერების განვითარებას; ეხმარება მუშაობაში რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სამეცნიერო კვლევითს დაწესებულებებს, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს;

7). ხელს უწყობს ახალი საბჭოთა წეს-ჩვეულებების დანერგვას ყოფა-ცხოვრებაში;

8) ხელს უწყობს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობას;

9) კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სახელმწიფო მართვას და სახელმწიფო კონტროლს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენებისადმი.

მუხლი 24. კანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო:

1) ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს რაიონში, რაიონული დაქვემდებარების ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს, იღებს ზომებს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების ორganიზაციის მიზნით;

2) აკონტროლებს ზემდგომი დაქვემდებარების ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობას;

3) ორganიზაციას უწევს დედათა და ბავშვთა დაცვას; უზრუნველყოფს გამჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარებას ბავშვებსა და მოზარდებს შორის, კონტროლს უწევს ბავშვებისა და მოზარდებისათვის სამედიცინო დახმარების ორganიზაციას;

4) ახორციელებს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების მოვლა-პატრონობის სანიტარიული წესების და დასახლებულ პუნქტებში — ჯეროვანი სანიტარიული მდგომარეობის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს; იღებს ზომებს მოსახლეობაში სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორganიზაციისათვის;

5) უზრუნველყოფს ინფექციური დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების, აგრეთვე მათი ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელებას; ეპიდემიური ინფექციური დაავადებების გაჩენის ან გავრცელების საშიშროების შემთხვევაში დადგენილი წესით შემოიღებს რაიონის ტერიტორიაზე შრომის, სწავლის, მიმოსვლის და გადახდვა-გადაყვანის განსაკუთრებულ პირობებსა და რეჟიმს, რაც მიზნად ისახავს ამ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილებასა და ლიკვიდაციას;

6) უზრუნველყოფს დასახლებული პუნქტების საწარმოო, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში, ეზოებსა და ქუჩებში, მოედნებზე ხმაურის თავიდან აცილების, ინტენსივობის შემცირებასა და აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელებას;

7) სახელმწიფო კონტროლს უწევს გარემოს გაჯანსაღების, წყალსატევების, ნიადაგისა და ატმოსფერული ჰაერის სანიტარიული დაცვის უზრუნველყოფის წესების შესრულებას;

8) მონაწილეობს ადგილის კურორტად ცნობის, კურორტის სანიტარიული დაცვის ზონის საზღვრების დადგენისა და მისი რეჟიმის განსაზღვრის საკითხების გადაწყვეტაში;

9) ხელმძღვანელობს სასამართლოს მიერ [illegible] ქმედუნარიანად ცნობილ [illegible] ღონეზან პირებზე მეურვეობისა [illegible] ობლობის საქმეს;

10) ხელს უწყობს საქართველოს სსრ „წითელი ჯვრის“ საზოგადოების საქმიანობას;

11) ხელმძღვანელობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეს; ორganიზაციას უწევს საერთო-სარაინო სპორტულ ღონისძიებათა განხორციელებას.

12) ამტკიცებს რაიონის ტერიტორიაზე სპორტულ შენობათა და ნაგებობათა განლაგების გეგმებს, მათი დაქვემდებარების მიუხედავად;

13) იღებს ზომებს მასობრივი დასვენების ზონების განვითარებისათვის, მათი აღჭურვისა და კეთილმოწყობისათვის, კონტროლს უწევს ამ ზონების გამოყენებას;

მუხლი 25. შრომისა და კადრების მომზადების დარგში სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო:

1) აღრიცხავს შრომითს რესურსებს და აწესრიგებს მათს განაწილებას რაიონის ტერიტორიაზე, იღებს ზომებს მათი რაციონალური გამოყენებისათვის; ორganიზაციას უწევს მოქალაქეთა შრომითს მოწყობას;

2) ამტკიცებს იმ ახალგაზრდათა შრომითი მოწყობის გეგმებს, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებს ამთავრებენ და უზრუნველყოფს, რომ ეს გეგმები შეასრულოს ყველა საწარმომ, დაწესებულებამ და ორganიზაციამ;

3) აკონტროლებს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესრულებას საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორganიზაციებში;

4) დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებს, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებს მუშაობაში და მოსწავლეებით დაკომპლექტებაში; ახორციელებს კონტროლს მასობრივ პროფესიათა კადრების მომზადებასა და გადამზადებაზე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორganიზაციებში;

5) უზრუნველყოფს მუშების ორganიზებული შეგროვებისა და ჩამოსახლების გეგმების შესრულებას; აკონტროლებს, თუ როგორ ასრულებენ საწარმოები და ორganიზაციები იმ ვალდებულებებს, რომ ორganიზებული შეგროვების წესით ჩამოსულ მუშებსა და ჩასასახლებელ მოსახლეობას შეუქმნან საჭირო საწარმოო და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები;

6) ხელს უწყობს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორganიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, შრომის მეცნიერული ორganიზაციის დანერგვას, შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებას და მისი ნაყოფიერების ამაღლებას, შრომისა და საწარმო დისციპლინის განმტკიცებას;

7) გეგმავს რაიონისათვის საჭირო სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა დარგების მუშაკთა კონტინგენტს, უზრუნველყოფს ამ კადრების სწორ განაწილებას, გამოყენებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

8). ადგენს რაიონის მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული საწარმოებისა და ორganიზაციების მუშაობის დღეებსა და საათებს.

მუხლი 26. სოციალური უზრუნველყოფის დარგში სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო:

1). ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის საქმეს; უზრუნველყოფს კანონმდებლობით დაწესებული პენსიებისა და დახმარების დროულად და სწორად დანიშვნასა და გაცემას, მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებისა და უპირატესობების მინიჭებას;

2). აკონტროლებს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდსა და კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობათა სახსრების ანარიცხების დროულად შეტანას; ქმნის რაიონის კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოს და კონტროლს უწევს მის საქმიანობას;

3) კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით აღძრავს შუამდგომლობებს პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ;

4) ახორციელებს ღონისძიებებს ინვალიდების, სამხედრო მოსამსახურეთა, დაღუპულ მეომართა და პარტიზანთა ოჯახების წევრების შრომითი მოწყობისათვის; ორganიზაციას უწევს ინვალიდთა პროფესიულ სწავლებას; უზრუნველყოფს ისეთი წარმოების ორganიზაციას, სადაც ინვალიდთა შრომას გამოიყენებენ;

5) განიხილავს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში მოქალაქეთა მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს; აკონტროლებს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების მუშაობას;

6) ხელმძღვანელობს იმ სრულწლოვან პირებზე მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეს, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ თავიანთი მოვალეობები, იღებს ზომებს მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასუმჯობესებლად;

7) კონტროლს უწევს საქიმო-შრომითი ექსპერტიზის ორganოების მუშაობას.

8). აკონტროლებს, რომ საქალაქო (რაიონრული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა სწორად დაუნიშნონ და მისცენ დახმარება იმ პირთ, რომლებსაც არა აქვთ პენსიის მიღების უფლება;

9) მუშაობაში ეხმარება უსინათლოთა და ყრუთა საზოგადოებებს.

მუხლი 27. სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და სახალხო კონტროლის განხორციელების დარგში სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო:

1) უზრუნველყოფს საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ სსრ კავშირის კანონის შესრულებას ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქის, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულებისა და ორganიზაციის მიერ;

2) ხელმძღვანელობს სამოქალაქო თავდაცვას რაიონის ტერიტორიაზე;

3) ხელს უწყობს ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევას, აგრეთვე სასწავლო შეკრებებისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების ორganიზაციასა და ჩატარებას;

4) აკონტროლებს დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის, თადარიგში დათხოვნილ და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დემობილიზებულ მოქალაქეთათვის შეღავათებისა და უპირატესობების მინიჭების შესახებ კანონმდებლობის დაცვას;

5) მუშაობას ეწევა მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის, საბრძოლო ტრადიციების პროპაგანდისათვის, ავითარებს მშრომელთა კოლექტივების საშეფო კავშირურთიერთობას სამხედრო ნაწილებთან;

თავი III. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის ორganიზაცია

1. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია

მუხლი 31. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესიას იწვევს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წელიწადში სულ ცოტა ოთხჯერ, ანუ სამ თვეში ერთხელ მაინც.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია შეიძლება მოწვეულ იქნეს აგრეთვე რაიონული საბჭოს დეპუტატთა არანაკლებ ერთი მესამედის წინადადებით.

მუხლი 32. ახლადარჩეული სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს პირველ სესიას იწვევს წინა მოწვევის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ორი კვირისა, არჩევნების შემდეგ და ხსნის რაიონული საბჭოს ერთ-ერთი უხუცესი დეპუტატი.

რაიონული საბჭოს პირველ სესიას ახლად შექმნილ რაიონში იწვევენ რაიონის შექმნის დღიდან არა უგვიანეს ორი კვირისა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჩატარდა ახლად შექმნილი რაიონის საბჭოს არჩევნები, — რაიონული საბჭოს არჩევნების დღიდან არა უგვიანეს ორი კვირისა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) ახლად შექმნილი რაიონის რაიონული საბჭოს პირველ სესიას იწვევს შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

რაიონული საბჭოს მომდევნო სესიებს ხსნის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. სესიის გასაძღოლად რაიონული საბჭო დეპუტატთაგან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

მუხლი 33. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესიის მოწვევის დროსა და ჩატარების ადგილს, აგრეთვე საბჭოს განსახილველად შეტანილ საკითხებს რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დეპუტატებს აცნობებს და მოსახლეობას აუწყებს სესიამდე არა უგვიანეს ათი დღისა. საბჭოს განსახილველად შეტანილ საკითხებზე რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დეპუტატებს აძლევს საჭირო მასალებს.

მუხლი 34. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია უფლებამოსილია თუ მას ესწრება რაიონული საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის არანაკლები ორი მესამედი.

მუხლი 35. საკითხები სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესიის განსახილველად შეაქვთ რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მუდმივ კომისიებსა და დეპუტატებს.

რაიონული საბჭოს სესიის დღის წესრიგის შესახებ წინადადებები შეიძლება წარადგინონ საზოგადოებრივი ორganიზაციების რაიონულმა ორganოებმა, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოებმა.

სესიის დღის წესრიგს და მუშაობის წესს ამტკიცებს რაიონული საბჭო.

მუხლი 36. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო უფლებამოსილია სესიებზე განიხილოს და გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც მის გამგებლობას განეკუთვნება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით. მხოლოდ და მხოლოდ სესიებზე უნდა გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

1) დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობა; დეპუტატთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხების გადაწყვეტა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში; დეპუტატთა ინფორმაციების მოსმენა მათ მიერ დეპუტატის მოვალეობის, საბჭოს და მისი ორganოების გადაწყვეტილებათა და დავალებათა შესრულების თაობაზე;

2) რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა და მისი შემადგენლობის შეცვლა; რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა, არჩევა და მათი შემადგენლობის შეცვლა;

3) აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების მუშაობის ანგარიში;

4) აღმასრულებელ კომიტეტის განყოფილებების და სამმართველოების შექმნა, მათი ხელმძღვანელების დამტკიცება და თანამდებობიდან განთავისუფლება;

5) აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების სტრუქტურისა და შტატების დამტკიცება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მიღებული ნორმატივებისა და აღმასრულებელი კომიტეტისათვის დადგენილი ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის საფუძველზე;

6) სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შექმნა და შემადგენლობის შეცვლა; სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მუშაობის ანგარიშის მოსმენა; სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის დადგენილებათა გაუქმება, თუ ისინი არ შეესაბამებიან კანონმდებლობას;

7) აღმასრულებელ კომიტეტთან ადმინისტრაციული და სამეთვალყურეო კომისიების, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის, ლოთობასთან, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა კომისიების შექმნა;

8) რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის დამტკიცება;

9) რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების და მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცება; კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სახელმწიფო შესყიდვის საგეგმო დავალებათა დამტკიცება;

10) ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმის განხილვა და დამტკიცება;

11) დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხების განხილვა და მათ გამო გადაწყვეტილებათა მიღება;

12) რაიონის ბიუჯეტის და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

13) აღმასრულებელი კომიტეტის იმ გადაწყვეტილებათა დამტკიცება, რომლებიც ეხება რაიონის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავლის, აგრეთვე გასავლების შემოსავლის გადამეტების იმ თანხების გამოყენებას, რაც წლის დამლევისათვის იქმნება შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის ნაწილში გაწეული მოჭირნეობის შედეგად;

14) რაიონის დაგეგმარების სქემისა და პროექტის განხილვა და დასამტკიცებლად მათი წარდგენა სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ზემდგომ ორganოებში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სხვა საკითხებიც, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების სესიებზე უნდა გადაწყდეს.

მუხლი 37. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებს იღებენ ღია ან ფარული ხმის მიცემით. საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმების უბრალო უმრავლესობით და მათ ხელს აწერენ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის არჩევის ან შეცვლის შესახებ, აგრეთვე რაიონული საბჭოს სესიის ოქმს ხელს აწერენ საბჭოს სესიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 38. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებს რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ატყობინებს შესაბამის ორganიზაციებს, თანამდებობის პირებს და მოქალაქეებს არა უგვიანეს შვიდი დღის ვადაში.

რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებში მოცემული წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებს და ორganიზაციებს ეხება, ამ ორganიზაციების ხელმძღვანელებს უწყობს თავდაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობას.

მუხლი 39. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ორganიზებას უკეთებს სესიებზე, სესიის საკითხებზე მომზადებულ ანგარიშებსა და ინფორმაციებს, ადგენს სესიის ოქმებს, ამზადებს სესიის გადაწყვეტილებებსა და სხვა დოკუმენტებს, ორganიზებას უწევს ამ დოკუმენტების გავრცელებას, ამზადებს ინფორმაციებს, ანგარიშებს, ინფორმაციებს, ანგარიშებს, ინფორმაციებს, ანგარიშებს,

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის **კანონი**

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ

(დასასრული)

მუხლი 53. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები და განკარგულებები შეიძლება გაუქმებულ იქნეს შესაბამის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები და განკარგულებები შეიძლება გაუქმებულ იქნეს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული საბჭოს მიერ და შესაბამისად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ან აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები და განკარგულებები — სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

მუხლი 54. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს გაუქმოს სახალხო დეპუტატთა ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებები და განკარგულებები.

მუხლი 55. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ინარჩუნებს უფლებამოსილებას ახალი მოწვევის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მიერ ახალი აღმასრულებელი კომიტეტის არჩევამდე.

მუხლი 56. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებს და სამმართველოებს ქმნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ნუსხას და მათი შექმნის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობა, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — ამ ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა.

აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების შტატების განსაზღვრავენ დადგენილი წესით ხელფასის ფონდის ფარგლებში.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებს და სამმართველოებს ხელმძღვანელობენ ამ კომიტეტის მიერ.

მუხლი 57. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ფარგლებში ბრძანებებს რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებების, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების აქტების საფუძველზე და შესასრულებლად.

მუხლი 58. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელები განყოფილებათა და სამმართველოთა ფარგლებში გამოსცემენ ბრძანებებს, ანაწილებენ მოვალეობებს, ადგენენ ანგარიშებს, ამტკიცებენ ინსტრუქციებს, ასრულებენ სხვა ღონისძიებებს, ატარებენ ინსპექტირებას, ინიშნავენ და ათავისუფლებენ ხელფასიანი მოხელეებს, ასრულებენ ადგილობრივ ბიუჯეტზე ან სამეურნეო ანგარიშზე.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების კომპეტენციას განსაზღვრავს დებულებები, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — ამ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

მუხლი 57. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობს და აკოორდინირებს რაიონული საბჭოს მიერ აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნილი ადმინისტრაციული და სამეთვალყურეო კომისიების, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის, ლოთობასთან, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის კომისიის საქმიანობას. აღნიშნული კომისიების კომპეტენციას განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულებები.

რაიონული საბჭო აღმასრულებელ კომიტეტთან ქმნის აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა კომისიებს.

3. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიები

მუხლი 61. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო დეპუტატთაგან ირჩევს მუდმივ კომისიებს, რათა მათ წინასწარ განიხილონ და მოამზადონ ის საკითხები, რომლებიც რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებას, აგრეთვე ხელი შეუწყონ საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციების საქმიანობას.

მუხლი 62. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიების ძირითადი ამოცანებია:

წინადადებების შემუშავება საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

დასკვნების მომზადება რაიონული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეტანილ საკითხებზე;

მონაწილეობის მიღება ორგანიზატორულ მუშაობაში რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის;

კონტროლის გაწევა, თუ როგორ ახორციელებენ რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების, აგრეთვე რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — ამ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების.

მუხლი 57. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ხელმძღვანელობს და აკოორდინირებს რაიონული საბჭოს მიერ აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნილი ადმინისტრაციული და სამეთვალყურეო კომისიების, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის, ლოთობასთან, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის კომისიის საქმიანობას. აღნიშნული კომისიების კომპეტენციას განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულებები.

რაიონული საბჭო აღმასრულებელ კომიტეტთან ქმნის აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა კომისიებს.

მუდმივი კომისიები თავიანთ შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის მდივანს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, — კომისიის თავმჯდომარის მოადგილესაც.

მუდმივი კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იმ დეპუტატის არჩევა, რომელიც შედის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში, აგრეთვე იმ დეპუტატისა, რომელიც რაიონის სახალხო მოსამართლე ან პროკურორია.

მუხლი 64. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან მათი ამრჩევი საბჭოს წინაშე.

მუხლი 65. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო ქმნის სამანდატო კომისიას, საგანგებო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიას, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას, აგრეთვე მუდმივ კომისიებს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებზე.

მუხლი 66. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სამანდატო კომისია:

1) ამოწმებს საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილებას და საბჭოს განსახილველად წაროდგენს წინადადებებს დეპუტატების უფლებამოსილების ცნობის შესახებ, ხოლო საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში — ცალკეულ დეპუტატთა არჩევნების ბათილად ცნობის თაობაზე;

2) ამზადებს და რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შეაქვს წინადადებები გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ჩატარების საკითხებზე;

3) ამზადებს დასკვნებს საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დეპუტატთა ხელშეუხებლობასა და დეპუტატის საქმიანობის სხვა გარანტიებთან ან ამომრჩეველთა მიერ დეპუტატის გაწვევასთან.

მუხლი 67. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს საგანგებო-საბიუჯეტო კომისია:

1) წინასწარ განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს, მათი შესრულების ანგარიშებს და იძლევა მათზე დასკვნებს;

2) წინასწარ განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ რაიონის ბიუჯეტს, მისი შესრულების ანგარიშებს და იძლევა მათზე დასკვნებს;

3) განიხილავს და ათანხმებს საბჭოს სხვა მუდმივი კომისიების მიერ შემოტანილ შენიშვნებსა და წინადადებებს რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, ბიუჯეტის შესახებ და გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების თაობაზე;

4) ეწევა მუშაობას შიდასამეურნეო რეზერვებისა და ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლის გამოსავლინებლად და სახელმწიფო სასხვრების ხარჯვისას მომჭირნეობის რეჟიმის გასაძლიერებლად;

5) კონტროლს უწევს რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების და რაიონის ბიუჯეტის შესრულებას;

6) მონაწილეობს საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი სხვა საგეგმო და საბიუჯეტო-საფინანსო საკითხების მომზადებაში.

მუხლი 68. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისია:

1) მონაწილეობს რაიონის ტერიტორიაზე სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

2) მონაწილეობს მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

3) იძლევა დასკვნებს რაიონული საბჭოს იმ გადაწყვეტილებათა პროექტებზე, რომლებიც ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის;

4) მონაწილეობს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში სოციალისტური კანონიერების დაცვის, მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებების, საჩივრების განხილვის მდგომარეობისა და მათი მიღების ორგანიზაციის შემოწმებაში;

5) მუშაობაში ეხმარება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს, ამხანაგური სასამართლოებს და ნებაყოფლობით სახანძრო რაზმებს.

მუხლი 69. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისია:

1) ამზადებს გადაწყვეტილებათა პროექტებს და სხვა წინადადებებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ახალგაზრდობის აღზრდა, განათლება, პროფესიული სწავლება, შრომა, ყოფა-ცხოვრება, დასვენება და ჯანმრთელობის დაცვა, ახალგაზრდობის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფა, სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში მონაწილეობა.

მუხლი 70. სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებზე შექმნილი სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიები:

1) მონაწილეობენ საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შესატანი სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შესაბამისი დარგების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების მომზადებაში;

2) წინასწარ განიხილავენ რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს, რაიონის ბიუჯეტის შესაბამის განყოფილებებს და ამ გეგმების და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს; შეაქვთ მათ გამო თავიანთი შენიშვნები და წინადადებანი, ხოლო საბიუჯეტოების შემთხვევაში ამ შენიშვნებსა და წინადადებებს წარუდგენენ სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოს;

3) მუშაობენ იმისათვის, რომ გამოავლენონ სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის, სამანაო, კომუნალური მეურნეობის და ყოთლმოწყობის განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების გაუმჯობესების დამატებითი რეზერვები და შესაძლებლობანი, ამზადებენ ამ საკითხებზე წინადადებებს და შეაქვთ ისინი სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოს;

4) თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ამოწმებენ სახალხო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობას, შემოწმების შედეგების თაობაზე წინადადებებს განსახილველად წარუდგენენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ წინადადებები საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად.

მუხლი 71. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიებს უფლება აქვთ მათი გამგეობლობის საკითხების შესახებ თავიანთ სხდომებზე მოისმინონ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებების სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებები და ინფორმაციები და მისცენ მათ რეკომენდაციები.

რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციების განხილვა შესაბამისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სავალდებულოა. განხილვის შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს მუდმივ კომისიებს არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში. ან კომისიების მიერ დადგენილ სხვა ვადაში.

მუდმივ კომისიებს, მათი გამგეობლობის საკითხებზე, უფლება აქვთ საჭირო მასალები და დოკუმენტები მოსთხოვონ რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

მუხლი 72. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუდმივ კომისიას უფლება თავისი მომხსენებელი ან თანამომხსენებელი გამოიყოს იმ საკითხებზე, რომლებიც მან შეიტანა რაიონული საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად, აგრეთვე საკითხებზე, რომელთა მომზადებაშიც ის მონაწილეობდა.

მუხლი 73. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომებს იწვევენ საჭიროებისდა მიხედვით, მაგრამ ორ თვეში ერთხელ მაინც.

მუდმივი კომისიის სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რაიონული საბჭოს დეპუტატებს, რომლებიც ამ კომისიის წევრები არ არიან, აგრეთვე საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მოსახლეობის დარაზმული და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ მათი შესრულების შემოწმებაში. იღებენ განაწესების განხორციელებისათვის.

რაიონული საბჭოს დეპუტატი განახილავს შემოსული წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს, იღებს ზომებს მათი სწორად და დროულად გადაწყვეტისათვის, იღებს მოქალაქეებს, სწავლობს საჩივრების წარმომშობ მიზეზებს და შეაქვს თავისი წინადადებები საბჭოში, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. დეპუტატს უფლება აქვს კონტროლი გაუწიოს მის მიერ გადაგზავნილი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო ორგანოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. დეპუტატს უფლება აქვს მოითხოვოს, ამ ორგანოებმა, ორგანიზაციებმა ეცნობებინონ მისი მიღებული ზომების შესახებ.

მუხლი 74. რამდენიმე მუდმივი კომისიის გამგეობლობის საკითხები, კომისიების ინიციატივით, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დავალებით, კომისიებმა შეიძლება ერთობლივად მოამზადონ და განიხილონ.

მუხლი 75. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუდმივი კომისია ყველა საკითხს წყვეტს კომისიის წევრთა საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით. მუდმივი კომისიის გადაწყვეტილებას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 76. სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოს შეუძლია შექმნას დროებითი კომისიები, რომელთა ამოცანებს რაიონული საბჭო მათი შექმნის დროს განსაზღვრავს.

4. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატი

მუხლი 77. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება იწყება საბჭოში მისი არჩევის დღიდან და მთავრდება ახალი მოწვევის რაიონული საბჭოს არჩევნების დღეს.

რაიონული საბჭოს დეპუტატს აქვს დეპუტატის მოწმობა და სამკერდე ნიშანი, რომლებითაც იგი სარგებლობს თავისი უფლებამოსილების მანძილზე.

მუხლი 78. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატი ვალდებულია დაესწროს საბჭოს ყოველ სესიას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და იმ მუდმივი კომისიების საქმიანობაში, რომელთა შემადგენლობაშიც იგი აირჩიეს, შეასრულოს საბჭოს და მისი ორგანოების დავალებები. იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატს შესაძლებლობა არა აქვს დაესწროს სესიას, იგი ამას აცნობებს საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

რაიონული საბჭოს დეპუტატს მუდმივი კავშირურთიერთობა აქვს ამომრჩეველებთან, იმ კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს, აგრეთვე მისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან. იგი ინფორმაციას აწვდის ამომრჩეველებს საბჭოს მუშაობის და რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების თაობაზე, მონაწილეობს კანონებს, საბჭოს და მისი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციაში, სწავლობს საზოგადოებრივ აზრს, აცნობებს საბჭოს და მის ორგანოებს მოსახლეობის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესახებ, იღებს ზომებს მათი დაკმაყოფილებისათვის, შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა განსახილველად შეაქვს წინადადებები მის სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხებზე.

რაიონული საბჭოს დეპუტატი მონაწილეობს ამომრჩეველთა დანაწესების შესასრულებლად მოსახლეობის დარაზმვაში და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ მათი შესრულების შემოწმებაში. იღებენ განაწესების განხორციელებისათვის.

რაიონული საბჭოს დეპუტატი ანგარიშს აძლევს ამომრჩეველებს, ანგარიშს აძლევენ ამ საბჭოს დეპუტატებს, ანგარიშს აძლევენ ამ საბჭოს ადგილობრივ ორგანო